

# ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## შპს გოსელინ მობილთი ჯორჯია

2021 წლის 31 დეკემბერი

*დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)*



# სარჩევი

|                                                      |    |
|------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                      | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება                    | 5  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება  | 7  |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშება                     | 8  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშება                          | 9  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები | 10 |

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ  
ქეთევან წამებულის გამზირი 54  
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC  
54 Ketevan Tsamebuli Avenue  
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს გოსელინ მობილითი ჯორჯია-ს მფლობელებს:

## მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს გოსელინ მობილითი ჯორჯიას ("კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ზომის საწარმოების („მსს ფასს“) შესაბამისად.

## მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ კომპანიისაგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს ჩვენი პირობითი მოსაზრებისთვის.

## ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად („მსს ფასს“) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური



ანგარიშგება მოამზადოს ფუნქციონირებადი საწარმოსდაშვების პრინციპით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან გაუწიონ ზედამხედველობა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან, აუდიტის პროცესში, გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

10 თებერვალი 2023



- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან, აუდიტის პროცესში, გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვანტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

10 თებერვალი 2023

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

| ლარი                             | შენიშვნა | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 1<br>იანვარი |
|----------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|------------------------|
| აქტივები                         |          |                           |                           |                        |
| გრძელვადიანი აქტივები            |          |                           |                           |                        |
| ძირითადი საშუალებები             | 4        | 809,959                   | 646,834                   | 631,542                |
|                                  |          | 809,959                   | 646,834                   | 631,542                |
| მოკლევადიანი აქტივები            |          |                           |                           |                        |
| მარაგები                         | 5        | 177,415                   | 204,282                   | 188,690                |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები       | 6        | 1,066,479                 | 1,303,300                 | 552,870                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები      | 7        | 260,413                   | 16,734                    | 82,278                 |
|                                  |          | 1,504,307                 | 1,524,316                 | 823,838                |
| სულ აქტივები                     |          | 2,314,266                 | 2,171,150                 | 1,455,380              |
| კაპიტალი და ვალდებულებები        |          |                           |                           |                        |
| კაპიტალი და რეზერვები            |          |                           |                           |                        |
| საწესდებო კაპიტალი               |          | 2,000                     | 2,000                     | 2,000                  |
| დამატებითი შენატანი კაპიტალში    |          | 50,097                    | 50,097                    | 50,097                 |
| დაგროვილი მოგება                 |          | 1,454,526                 | 946,274                   | 728,484                |
|                                  |          | 1,506,623                 | 998,371                   | 780,581                |
| გრძელვადიანი ვალდებულებები       |          |                           |                           |                        |
| სესხები                          | 8        | 56,438                    | 324,012                   | 399,768                |
|                                  |          | 56,438                    | 324,012                   | 399,768                |
| მიმდინარე ვალდებულებები          |          |                           |                           |                        |
| სესხები                          | 8        | 225,753                   | 176,273                   | 13,976                 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები    | 9        | 525,452                   | 672,494                   | 261,055                |
|                                  |          | 751,205                   | 848,767                   | 275,031                |
| სულ კაპიტალი და<br>ვალდებულებები |          | 2,314,266                 | 2,171,150                 | 1,455,380              |

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 10 თებერვალს:

ჯონ ჰუგო ფრედი ბრაეკველდტი

აღმასრულებელი დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-25-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

| ლარი                             | შენიშვნა | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 1<br>იანვარი |
|----------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|------------------------|
| აქტივები                         |          |                           |                           |                        |
| გრძელვადიანი აქტივები            |          |                           |                           |                        |
| ძირითადი საშუალებები             | 4        | 809,959                   | 646,834                   | 631,542                |
|                                  |          | 809,959                   | 646,834                   | 631,542                |
| მოკლევადიანი აქტივები            |          |                           |                           |                        |
| მარაგები                         | 5        | 177,415                   | 204,282                   | 188,690                |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები       | 6        | 1,066,479                 | 1,303,300                 | 552,870                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები      | 7        | 260,413                   | 16,734                    | 82,278                 |
|                                  |          | 1,504,307                 | 1,524,316                 | 823,838                |
| სულ აქტივები                     |          | 2,314,266                 | 2,171,150                 | 1,455,380              |
| კაპიტალი და ვალდებულებები        |          |                           |                           |                        |
| კაპიტალი და რეზერვები            |          |                           |                           |                        |
| საწესდებო კაპიტალი               |          | 2,000                     | 2,000                     | 2,000                  |
| დამატებითი შენატანი კაპიტალში    |          | 50,097                    | 50,097                    | 50,097                 |
| დაგროვილი მოგება                 |          | 1,454,526                 | 946,274                   | 728,484                |
|                                  |          | 1,506,623                 | 998,371                   | 780,581                |
| გრძელვადიანი ვალდებულებები       |          |                           |                           |                        |
| სესხები                          | 8        | 56,438                    | 324,012                   | 399,768                |
|                                  |          | 56,438                    | 324,012                   | 399,768                |
| მიმდინარე ვალდებულებები          |          |                           |                           |                        |
| სესხები                          | 8        | 225,753                   | 176,273                   | 13,976                 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები    | 9        | 525,452                   | 672,494                   | 261,055                |
|                                  |          | 751,205                   | 848,767                   | 275,031                |
| სულ კაპიტალი და<br>ვალდებულებები |          | 2,314,266                 | 2,171,150                 | 1,455,380              |

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 10 თებერვალს:

ჯონ ჰუგო ფრედი ბრაეკველდტი

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-25-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

| ლარი                              | შენიშვნა | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|-----------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავალი                        | 10       | 8,016,650                 | 6,124,709                 |
| რეალიზაციის თვითღირებულება        | 11       | (5,628,904)               | (4,204,488)               |
| საერთო მოგება                     |          | 2,387,746                 | 1,920,221                 |
| სხვა შემოსავალი                   |          | 7,857                     | 18,700                    |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 12       | (1,845,517)               | (1,622,325)               |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები        |          | (2,554)                   | (14,755)                  |
| შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან   |          | 547,532                   | 301,841                   |
| საპროცენტო ხაჯი                   | 8        | (33,590)                  | (31,132)                  |
| საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი  | 13       | (5,690)                   | (52,919)                  |
| მოგება დაბეგვრამდე                |          | 508,252                   | 217,790                   |
| მოგების გადასახადის ხარჯი         |          | -                         | -                         |
| წლის წმინდა მოგება                |          | 508,252                   | 217,790                   |
| სხვა სრული შემოსავალი             |          | -                         | -                         |
| წლის სრული შემოსავალი             |          | 508,252                   | 217,790                   |

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-25-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

| ლარი                          | საწესდებო<br>კაპიტალი | დამატებითი<br>შენატანი<br>კაპიტალში | დაგროვილი<br>მოგება | სულ       |
|-------------------------------|-----------------------|-------------------------------------|---------------------|-----------|
| <b>2020 წლის 1 იანვარი</b>    | 2,000                 | 50,097                              | 728,484             | 780,581   |
| პერიოდის მოგება               | -                     | -                                   | 217,790             | 217,790   |
| სულ წლის მთლიანი შემოსავალი   | -                     | -                                   | 217,790             | 217,790   |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | 2,000                 | 50,097                              | 946,274             | 998,371   |
| წლის მოგება                   | -                     | -                                   | 508,252             | 508,252   |
| სულ წლის მთლიანი შემოსავალი   | -                     | -                                   | 508,252             | 508,252   |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b> | 2,000                 | 50,097                              | 1,454,526           | 1,506,623 |

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-25-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

| ლარი                                                 | 2021 წელი | 2020 წელი |
|------------------------------------------------------|-----------|-----------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან             |           |           |
| მოგება დაბეგრამდე                                    | 508,252   | 217,790   |
| კორექტირებები:                                       |           |           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                 | 101,036   | 92,325    |
| ფინანსური ხარჯი                                      | 33,590    | 31,132    |
| საექვო მოთხოვნების რეზერვი                           | 12,466    | 7,689     |
| კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი                 | 5,690     | 52,919    |
| საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე    | 661,034   | 401,855   |
| ცვლილება მარაგებში                                   | 26,867    | (15,592)  |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                 | 283,585   | (766,980) |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში              | (179,911) | 335,873   |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან             | 791,575   | (44,844)  |
| გადახდილი პროცენტი                                   | (33,590)  | (31,132)  |
| წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან      | 757,985   | (75,976)  |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან           |           |           |
| ძირითადი საშუალების შეძენა                           | (264,161) | (136,405) |
| ძირითადი საშუალების გაყიდვა                          | -         | 28,788    |
| წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან    | (264,161) | (107,617) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან              |           |           |
| სესხის აღება                                         | -         | -         |
| სესხის დაფარვა                                       | (150,179) | (12,279)  |
| წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან       | (150,179) | (12,279)  |
| ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)             | 343,645   | (195,872) |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულზე       | (99,966)  | 130,328   |
| ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 16,734    | 82,278    |
| ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს      | 260,413   | 16,734    |

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 10-25-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

## 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს გოსელინ ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაარსდა 1995 წლის 7 ივნისს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 204870540.

დაარსების დღიდან კომპანია უზრუნველყოფს თავიანთი მომხმარებლებისთვის სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ მომსახურებას. ის მომხმარებლებს სთავაზობს სატრანსპორტო მომსახურებას მსოფლიოს მასშტაბით. კომპანია არის ერთ-ერთი ლიდერი მდგრადი და ინოვაციური საერთაშორისო სატრანსპორტო და ლოჯისტიკური მომსახურების სფეროში და ქსელით მთელს ევროპაში, კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. ის უზრუნველყოფს სამომხმარებლო და სამრეწველო საქონლის გადაზიდვას, სასაწყობო, სატრანსპორტო და საბაჟო მომსახურებას. კომპანიას გადაყავს ოჯახები, კორპორატიული წარმომადგენლები და დიპლომატები. არსებობის პერიოდიდან დღემდე მან შეიმუშავა არაერთი პოლიტიკა, რომლებიც ეხება: ადამიანურ რესურსებს, სავაჭრო პირობებს, ბიზნეს ეთიკას, კონფიდენციალურობას და ა.შ.

კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 29 თანამშრომელი (2020: 28 თანამშრომელი).

კომპანიის იურიდიული რეგისტრაციის მისამართია: საბურთალო, მირიან მეფის ქ. 78, თბილისი, საქართველო.

ანგარიშგების თარიღისთვის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების მიხედვით, კომპანია არ არის საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ).

### ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის ინსტრუმენტები.

მსოფლიოში ვითარება გამწვავდა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგად. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული და ომის შედეგები გლობალურ ეკონომიკაზე, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

ეს ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

## 2 შედგენის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სტანდარტის შესაბამისად ("მსს ფასს"), რომელიც მიღებულია ბუღალტრული

ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ (“ბასს”). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. კომპანიის მსს ფასს -ზე გადასვლის ეფექტური თარიღია 2019 წლის 1 იანვარი.

## 2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით.

## 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა). ლარში გამოსახული ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

## 2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და საადრიცხო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 15.1 შენიშვნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება სათანადოდ იმ წელს, როდესაც შეიცვლება გარემოებები.

# 3 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

## 3.1 უცხოური ვალუტა

*უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები*

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## 3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. იჯარით აღებული შენობები შედის კომპანიის აქტივებში, თუ ისინი აკმაყოფილებს ფინანსური იჯარის აღიარების კრიტერიუმებს. ასეთი აქტივები იცვითება მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდზე ან იჯარის პერიოდზე, რომელიც უფრო მოკლე იქნება.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

|                        |           |
|------------------------|-----------|
| შენობა-ნაგებობა        | – 20 წელი |
| მანქანა-დანადგარი      | – 5 წელი  |
| საოფისე ტექნიკა        | – 5 წელი  |
| სატრანსპორტო საშუალება | – 8 წელი  |
| ოფისის კეთილმოწყობა    | – 8 წელი  |

### 3.3 იჯარა

იჯარა, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი ეკუთვნის მეიჯარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს განხორციელებული გადახდები (გამქირავებლისგან მიღებული წახალისების გარეშე) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის პერიოდისათვის. დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა განახლება და დაზღვევის ხარჯები, ჩამოიწერება ხარჯში ხარჯის გაწვევითანავე.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადადის კომპანიის საკუთრებაში. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიან ღირებულებასა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი ღირებულება აღიარდება როგორც ფინანსური საიჯარო ვალდებულება.

ცვეთის მეთოდები და ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეესაბამება იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შესაძარის აქტივებზე, რომლებიც იურიდიულად არის კომპანიის საკუთრებაში. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულებები მცირდება იჯარის გადახდებსა და ფინანსურ ხარჯებს შორის სხვაობით, რომლებიც ხარჯში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯის ნაწილი.

საიჯარო გადასახადების საპროცენტო ნაწილი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რათა წარმოადგენდეს დარჩენილი კაპიტალის ნაშთის მუდმივ ნაწილს, და ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში.

### 3.4 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის მის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### 3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

### 3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე, ხოლო დებიტორული დავალიანება პროცენტს არ ითვალისწინებს. იქ, სადაც კრედიტი აქარბებს ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებების გადახედვა იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

#### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

#### სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად (ანუ ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში

### 3.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### 3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები (როგორიცაა კაპიტალის ცვლილება, მფლობელების ცვლილება და ა.შ) ხორციელდება კომპანიის პარტნიორების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალებს. გადასახდელი დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში, როცა ის გამოცხადდება.

### 3.9 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულების დასაფარად.

თუ ეფექტი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

როცა მოსალოდნელია ანარიცხის ნაწილის ან სრული თანხის დაფარვა მესამე მხარის მიერ აღიარდება მოთხოვნა. ამ დროს მესამე მხარის მიერ დაფარვის ალბათობა მაღალია და მოთხოვნის შეფასების რაოდენობრივი განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ.

### 3.10 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ განაწილებულ ან დივიდენდის სახით გაცემულ მოგებაზე. მოგების გადასახადი -15% გადაიხდება მთლიან ღირებულებაზე (მაგალითად, ნეტო დივიდენდები უნდა გაიზარდოს გამოქვითული გადასახადის 5%-ით, ასეთის არსებობის შემთხვევაში და იყოფა 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტი იურიდიულ პირებზე დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, იურიდიული პირისთვის გადახდილი დივიდენდი განთავისუფლებულია გადასახადისგან.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი ასევე გადაიხდება ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც დაკავშირებულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა მსგავსი გარიგებები, ასევე რეზიდენტებსა, თუ არარეზიდენტებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადახდებთან ერთად, გამოკლებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტები, ასევე ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების დაბრუნება, აღირიცხება საოპერაციო ხარჯების - "გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა"- მუხლში.

მიმდინარე მოგების გადასახადის კონცეფციაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია მის ფასს-ის მე-12 განყოფილებით „მოგების გადასახადი“ არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

### 3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) სოციალური უსაფრთხოებისა და სხვა სოციალურ გადახდებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებუ;ო პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა

უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

### პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუწარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

## 3.12 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მომსახურები გაწევიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც:

- შემოსავლის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ; მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილება კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან აღიარდება როცა მომსახურება გაიწევა და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. ხარჯები და შემოსავლები რომელთა საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პერიოდისთვის არ არის დასრულებული გადავადდება მომდევნო წელს, ხოლო შემოსავლები და ხარჯები რომელიც დასრულებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს, მაგრამ ინვოისი არ არის აღნიშნული დროისთვის შედგენილი, შესაბამისად აღიარდება, როგორც დარიცხული შემოსავალი და ხარჯი

## 4 ძირითადი საშუალებები

ლარი

|                                       | მიწა   | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ოფისის<br>კეთილმოწყობა | სულ       |
|---------------------------------------|--------|-----------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------------|------------------------|-----------|
| <i>თვითღირებულება</i>                 |        |                       |                         |                       |                             |                        |           |
| 2020 წლის 1 იანვარი                   | 76,500 | 616,246               | 16,789                  | 125,771               | 492,450                     | -                      | 1,327,756 |
| შემოსვლა                              | -      | -                     | -                       | 24,960                | 96,333                      | 15,112                 | 136,405   |
| გასვლა                                | -      | -                     | -                       | -                     | (53,002)                    | -                      | (53,002)  |
| 2020 წლის 31 დეკემბერი                | 76,500 | 616,246               | 16,789                  | 150,731               | 535,781                     | 15,112                 | 1,411,159 |
| შემოსვლა                              | -      | -                     | 1,551                   | 15,348                | 179,917                     | 67,345                 | 264,161   |
| 2021 წლის 31 დეკემბერი                | 76,500 | 616,246               | 18,340                  | 166,079               | 715,698                     | 82,457                 | 1,675,320 |
| <i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i> |        |                       |                         |                       |                             |                        |           |
| 2020 წლის 1 იანვარი                   | -      | 292,963               | 11,228                  | 88,182                | 303,844                     | -                      | 696,217   |
| წლის ცვეთა                            | -      | 30,812                | 2,019                   | 18,436                | 40,789                      | 266                    | 92,322    |
| გასვლის შედეგად ელიმინირება           | -      | -                     | -                       | -                     | (24,214)                    | -                      | (24,214)  |
| 2020 წლის 31 დეკემბერი                | -      | 323,775               | 13,247                  | 106,618               | 320,419                     | 266                    | 764,325   |
| წლის ცვეთა                            | -      | 30,812                | 1,205                   | 17,009                | 45,394                      | 6,616                  | 101,036   |
| 2021 წლის 31 დეკემბერი                | -      | 354,587               | 14,452                  | 123,627               | 365,813                     | 6,882                  | 865,361   |
| <i>საბალანსო ღირებულება</i>           |        |                       |                         |                       |                             |                        |           |
| 2020 წლის 31 დეკემბერი                | 76,500 | 292,471               | 3,542                   | 44,113                | 215,362                     | 14,846                 | 646,834   |
| 2021 წლის 31 დეკემბერი                | 76,500 | 261,659               | 3,888                   | 42,452                | 349,885                     | 75,575                 | 809,959   |

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები არ ყოფილა გამოყენებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

ცვეთის ხარჯის დარიცხვა მოხდა შემდეგნაირად:

ლარი

|                                              | 2021 წელი      | 2020 წელი     |
|----------------------------------------------|----------------|---------------|
| რეალიზაციის თვითღირებულება (იხ. შენიშვნა 11) | 55,643         | 51,515        |
| ადმინისტრაციული ხარჯები (იხ. შენიშვნა 12)    | 45,393         | 40,807        |
|                                              | <u>101,036</u> | <u>92,322</u> |

## 5 მარაგები

ლარი

|                   | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------|---------------------------|---------------------------|
| შესაფუთი მასალები | 176,629                   | 201,734                   |
| საწვავი           | 786                       | 2,548                     |
|                   | <u>177,415</u>            | <u>204,282</u>            |

კომპანიის მარაგები არ ყოფილა გამოყენებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

## 6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი

|                                        | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                     | 1,080,824                 | 1,291,407                 |
| ავანსები და წინასწარი გადახდები        | 7,810                     | 21,582                    |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი | (22,155)                  | (9,689)                   |
|                                        | <u>1,066,479</u>          | <u>1,303,300</u>          |

ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძარის პერიოდებში გადახედით იქნა გაუფასურებაზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 17(ა)-ში.

## 7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი

|                          | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------|---------------------------|---------------------------|
| ნაღდი ფული სალაროში      | 23                        | 1,949                     |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 260,390                   | 14,785                    |
|                          | <u>260,413</u>            | <u>16,734</u>             |

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 17(ა)-ში.

## 8 სესხები

მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები:

|                                                 | მიმდინარე                 |                           |
|-------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ლარი                                            | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
| არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან | 225,753                   | 176,273                   |
|                                                 | <u>225,753</u>            | <u>176,273</u>            |

| ლარი                                            | გრძელვადიანი              |                           |
|-------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
|                                                 | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
| არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან | 56,438                    | 324,012                   |
|                                                 | 56,438                    | 324,012                   |

კომპანიას სესხი აღებული აქვს მშობელი კომპანია გოსელინ მობილითი ბელგიისგან. სესხს აქვს წლიური საშუალო შეწონილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 2% (2020: 2% წლიური). სესხი არ არის უზრუნველყოფილი კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებებით.

უფრო მეტი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის და უცხოური ვალუტის რისკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 17(ა)-ში.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

| ტრანში                               | ძირითადი<br>ორიგინალ<br>ვალუტაში | ორიგინალი<br>ვალუტა | მიღების<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | ხელშეკრულების<br>განაკვეთი %<br>წლიური | ეფექტური<br>განაკვეთი %<br>წლიური | 2021 წლის 31 დეკემბერი<br>ძირითადი | 2020 წლის 31 დეკემბერი<br>დარიცხული<br>პროცენტი |
|--------------------------------------|----------------------------------|---------------------|-------------------|--------------------|----------------------------------------|-----------------------------------|------------------------------------|-------------------------------------------------|
| <b>სესხი დაკავშირებული მხარისგან</b> |                                  |                     |                   |                    |                                        |                                   |                                    |                                                 |
| გოსელინ<br>მობილითი ნვ               | 140,000                          | ევრო                | 20/06/2019        | 30/11/2023         | 2%                                     | 2%                                | 282,191                            | -                                               |
|                                      |                                  |                     |                   |                    |                                        |                                   | 282,191                            | -                                               |

| ტრანში                               | ძირითადი<br>ორიგინალ<br>ვალუტაში | ორიგინალი<br>ვალუტა | მიღების<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | ხელშეკრულების<br>განაკვეთი %<br>წლიური | ეფექტური<br>განაკვეთი %<br>წლიური | 2021 წლის 31 დეკემბერი<br>ძირითადი | 2020 წლის 31 დეკემბერი<br>დარიცხული<br>პროცენტი |
|--------------------------------------|----------------------------------|---------------------|-------------------|--------------------|----------------------------------------|-----------------------------------|------------------------------------|-------------------------------------------------|
| <b>სესხი დაკავშირებული მხარისგან</b> |                                  |                     |                   |                    |                                        |                                   |                                    |                                                 |
| გოსელინ<br>მობილითი ნვ               | 140,000                          | ევრო                | 20/06/2019        | 30/11/2023         | 2%                                     | 2%                                | 500,285                            | -                                               |
|                                      |                                  |                     |                   |                    |                                        |                                   | 500,285                            | -                                               |

## 9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| ლარი                       | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები      | 503,819                   | 654,849                   |
| საგადასახადო ვალდებულებები | 21,181                    | 17,646                    |
| მიღებული ავანსები          | 452                       | -                         |
|                            | 525,452                   | 672,495                   |

ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ. კომპანიას აქვს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა ვალდებულება იყოს გადახდილი საკრედიტო პერიოდის ვადაში.

ინფორმაცია კომპანიის უცხოური ვალუტის რისკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 17(ა)-ში.

## 10 შემოსავალი

| ლარი                                                                          | 2021 წელი | 2020 წელი |
|-------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები არადაკავშირებული მხარეებიდან | 7,877,456 | 4,692,714 |
| შემოსავლები დაკავშირებული მხარეებიდან                                         | 139,194   | 1,431,995 |
|                                                                               | 8,016,650 | 6,124,709 |

## 11 რეალიზაციის თვითღირებულება

| ლარი                                           | 2021 წელი | 2020 წელი |
|------------------------------------------------|-----------|-----------|
| სატრანსპორტო მომსახურება                       | 4,133,459 | 2,979,114 |
| ხელფასი, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დაზღვევა | 609,520   | 451,157   |
| საპაერო გადაზიდვა                              | 394,727   | 323,356   |
| შეფუთვის და მიწოდების ხარჯები                  | 185,985   | 139,782   |
| ტერმინალის ხარჯები                             | 131,733   | 128,019   |
| ცვეთა და ამორტიზაცია                           | 45,393    | 40,807    |
| საზღვაო გადაზიდვები                            | 30,048    | 54,587    |
| საბაჟო მოსაკრებელი და დღგ                      | 1,993     | 1,587     |
| სხვა ხარჯები                                   | 96,046    | 86,079    |
|                                                | 5,628,904 | 4,204,488 |

## 12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| ლარი                                             | 2021 წელი | 2020 წელი |
|--------------------------------------------------|-----------|-----------|
| ხელფასები და დასაქმებულთა სხვა სარგებლის ხარჯები | 466,023   | 417,004   |
| პროგრამული მომსახურება                           | 419,840   | 241,763   |
| მარაგების მართვის გადასახადი                     | 326,199   | 363,024   |
| პროფესიული მომსახურება                           | 162,007   | 138,286   |
| დაზღვევა                                         | 62,661    | 58,969    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                             | 55,643    | 51,515    |
| ბანკის საკომისიოები                              | 34,534    | 24,671    |
| სარეკლამო ხარჯები                                | 31,572    | 32,316    |
| მივლინება და წარმომადგენლობის ხარჯები            | 30,161    | 9,444     |
| საწყობის ხარჯები                                 | 29,736    | 18,762    |
| საგადასახადო ხარჯები                             | 20,016    | 10,152    |
| ავტომობილის მომსახურება                          | 18,065    | 14,683    |
| საოფისე დანახარჯები                              | 30,959    | 14,921    |
| კომუნალური დანახარჯები                           | 16,669    | 13,140    |
| კომუნიკაციის დანახარჯები                         | 13,522    | 12,875    |
| უიმედო ვალები                                    | 12,466    | 7,689     |
| საწევრო მოსაკრებელი                              | 6,308     | 8,650     |
| ჯარიმები                                         | 4,330     | 7,400     |
| უსაფრთხოების მომსახურება                         | 1,259     | 1,373     |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                     | 103,547   | 175,688   |
|                                                  | 1,845,517 | 1,622,325 |

## 13 საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი

| ლარი                                | 2021 წელი | 2020 წელი |
|-------------------------------------|-----------|-----------|
| მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან: |           |           |
| ფულსა და ფულის ექვივალენტებზე       | (99,966)  | 130,328   |
| სავაჭრო მოთხოვნები                  | 59,230    | (8,861)   |
| სავაჭრო ვალდებულებები               | (32,869)  | (75,566)  |
| სესხები                             | 67,915    | (98,820)  |
|                                     | (5,690)   | (52,919)  |

## 14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთის უკრაინაში შეჭრა - 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და მას შემდეგ აწარმოებს სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებს უკრაინის წინააღმდეგ. საპასუხოდ ევროკავშირმა, აშშ-მ და სხვა ქვეყნებმა რუსეთს დაუწესეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სანქციები. ამ მოვლენებმა გავლენა იქონიეს მიწოდების ჯაჭვებზე, მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოებასა და მთლიანობაში გლობალურ ეკონომიკაზე, რისი ეფექტის საიმედოდ შეფასება ამ მომენტისათვის შეუძლებელია. შეუძლებელია იმის საიმედოდ განჭვრეტაც, რამდენად დიდ ხანს გაგრძელდება საომარი მოქმედებები და რა იქნება საბოლოოდ ეკონომიკური სანქციების ეფექტი. შესაბამისად, ამ შესაძლო ეფექტის ასახვა ამ ანგარიშგებაში არ მომხდარა.

სესხები - 2022 წლის 1 მარტს კომპანიამ ასრულად დაფარა დაკავშირებული მხარიდან მიღებული სესხი.

## 15 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

შეფასებები და მსჯელობები მუდმივად ფასდება და ეფუძნება როგორც ისტორიულ გამოცდილებას აგრეთვე სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს.

### 15.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია აფასებს და ვარაუდებს გამოთქვამს მომავალთან დაკავშირებით. მიღებული საადრიცხო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან. შეფასებებსა და დაშვებებს რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალური კორექტირებაზე, მომდევნო ფინანსურ წელს, განხილულია ქვემოთ.

#### ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა/ამორტიზაცია, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- აქტივების მოსალოდნელი გამოყენება;
- მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა/ამორტიზაცია, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და
- საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

#### მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულების გათვალისწინებით. აღნიშნული მარაგების მომავალში რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა ან სხვა ცვლილებებმა რომელიც გავლენას ახდენს მარაგის ბაზარზე და რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გაყიდვების ფასები.

#### უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა მომავალი ფულადი ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლები და ის ფაქტი რომ სავაჭრო მოთხოვნების არ გადახდის/გაფუჭების შემთხვევაში უკან დაიბრუნებს ანალოგიური ღირებულების მოწყობილობას რომლის ხელახლა გაყიდვასაც მოახდენს თავდაპირველი სარეალიზაციო ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

## 15.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

### ფუნქციონირებადობის შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გაურკვევლობები არ არსებობს, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

## 16 ფინანსური ინსტრუმენტები

### 16.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6 **Error! Reference source not found.**-ში.

### 16.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

#### ფინანსური აქტივები

| ლარი                        | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|-----------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები  | 1,080,824                 | 1,291,407                 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 260,413                   | 16,734                    |
| სულ ფინანსური აქტივები      | 1,341,237                 | 1,308,141                 |

#### ფინანსური ვალდებულებები

| ლარი                          | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 503,819                   | 654,849                   |
| სესხები                       | 282,191                   | 500,285                   |
| სულ ფინანსური ვალდებულებები   | 786,010                   | 1,155,134                 |

## 17 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

#### ფინანსური რისკის ფაქტორები

##### ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

## უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანია უცხოურ ვალუტაში ძირითადად ახორციელებს შესყიდვებს და იღებს შემოსავლებს, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარში ან ევროშია დენომინირებული. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

### ერთეული

2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სესხები

წმინდა პოზიცია

### ერთეული

2020 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სესხები

წმინდა პოზიცია

ა.შ.შ დოლარი

ევრო

152,136

94,932

245,830

497,293

245,830

497,293

283

318,924

-

282,191

283

601,115

245,547

(103,822)

ა.შ.შ დოლარი

ევრო

2,524

4,124

954,885

320,421

954,885

320,421

84,206

326,641

-

500,285

84,206

826,926

870,679

(506,505)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2020: 15%) მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2020: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 15%-იანი (2020: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

### ლარი

ა.შ.შ. დოლარის გავლენა

2021 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისთვის

2020 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისთვის

ზარალი

(36,832)

(130,602)

(36,832)

(130,602)

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ევროს მიმართებაში 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

### ლარი

ევროს გავლენა

2021 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისთვის

2020 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისთვის

|        |        |        |
|--------|--------|--------|
| მოგება | 15,573 | 75,976 |
|        | 15,573 | 75,976 |

ზემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლება კომპანიის სავალუტო რისკის შემოქმედების წარმოსადგენად და ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

#### ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, მათ შორის, ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიზნებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით. კომპანია არ ფლობს გადაზღვრულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსებისა მიყიდული საქონლის სახით.

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულთან მიმართებაში ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

#### გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

| 2021                                       | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | სესხის<br>ვალდებულებები | სულ     |
|--------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------|---------|
| საშუალო შეწონილი ეფექტური<br>განაკვეთი (%) |                                     | 2.0%                    |         |
| 6 თვეზე ნაკლები                            | 525,452                             | 64,758                  | 418,241 |
| 6 თვიდან 1 წლამდე                          | -                                   | 230,441                 | 230,441 |
|                                            | 525,452                             | 295,199                 | 820,651 |

| 2020                                       | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | სესხის<br>ვალდებულებები | სულ       |
|--------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------|-----------|
| საშუალო შეწონილი ეფექტური<br>განაკვეთი (%) |                                     | 2.0%                    |           |
| 6 თვეზე ნაკლები                            | 672,494                             | 152,560                 | 634,429   |
| 6 თვიდან 1 წლამდე                          | -                                   | 152,560                 | 152,560   |
| 1-5 წლამდე                                 | -                                   | 299,852                 | 299,852   |
|                                            | 672,494                             | 604,972                 | 1,277,466 |

## 18 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა დ სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს

აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცივებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

თანხები, რომლებსაც კომპანია განიხილავს სამართავ კაპიტალად წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

| ლარი                                       | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| წმინდა დაფინანსება                         |                           |                           |
| სესხები                                    | 282,191                   | 500,285                   |
| მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში           | (260,413)                 | (16,734)                  |
|                                            | 21,778                    | 483,551                   |
| კორექტირებული კაპიტალი                     |                           |                           |
| მთლიანი კაპიტალი                           | 1,506,623                 | 998,371                   |
|                                            | 1,506,623                 | 998,371                   |
|                                            |                           |                           |
| კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან | 0.01                      | 0.48                      |

## 19 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

კომპანიის ვალდებულებებში ცვლილება ფინანსური აქტივობებიდან კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

| ლარი                                | სესხები   | სულ       |
|-------------------------------------|-----------|-----------|
| 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | 413,744   | 413,744   |
| ფულადი ნაკადები                     |           |           |
| ძირის გადახდა                       | (12,279)  | (12,279)  |
| პროცენტის გადახდა                   | (31,132)  | (31,132)  |
| არაფულადი                           |           |           |
| დარიცხული პროცენტი                  | 31,132    | 31,132    |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან           | 98,820    | 98,820    |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 500,285   | 500,285   |
| ფულადი ნაკადები                     |           |           |
| ძირის გადახდა                       | (150,179) | (150,179) |
| პროცენტის გადახდა                   | (33,590)  | (33,590)  |
| არაფულადი                           |           |           |
| დარიცხული პროცენტი                  | 33,590    | 33,590    |
| მოგება საკურსო სხვაობიდან           | (67,915)  | (67,915)  |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 282,191   | 282,191   |

## 20 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები მოიცავს მშობელ საწარმოს, საწარმოებს საერთო კონტროლის ქვეშ და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

### 20.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს Gosselin Mobility NV, 0890.127.032 /ბელგია, რომელიც მისი აქციების 100%-ის მფლობელია. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია Marc Smet, ბელგია, 2900 Schoten, Lusthofdreef.

### 20.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და საბალანსო ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

| ლარი<br>ოპერაციები                     | 2021 წელი                 | 2020 წელი                 |
|----------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| მფლობელები                             |                           |                           |
| სესხის მიღება                          | -                         | 6,473                     |
| სესხის გადახდა                         | 183,769                   | 49,883                    |
| სესხის საპროცენტო ხარჯის დარიცხვა      | 33,590                    | 31,132                    |
| საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები |                           |                           |
| მომსახურების გაწევა                    | 461,105                   | 470,839                   |
| მომსახურების მიღება                    | 2,501,473                 | 2,173,613                 |
| საბალანსო ნაშთები                      | 2021 დასრულებული წლისთვის | 2020 დასრულებული წლისთვის |
| მფლობელები                             |                           |                           |
| სესხები                                | 282,191                   | 500,285                   |
| საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 55,048                    | 95,347                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 60,029                    | 76,542                    |

## 20.3 ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან განხორციელებული ოპერაციები

ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია ადმინისტრაციულ დანახარჯებში თანამშრომელთა ანაზღაურებასა და მათ მიერ მიღებულ სარგებელში.

| ლარი      | 2021 დასრულებული წლისთვის | 2022 დასრულებული წლისთვის |
|-----------|---------------------------|---------------------------|
| ხელფასები | 126,396                   | 120,354                   |
| პრემიები  | 10,120                    | 10,029                    |
|           | 136,516                   | 130,383                   |